ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფლებში მცხოვრებ ქალთა სპეციფიკური საჭიროებათა შეფასების ანგარიში

პროექტის შესახებ

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს ფოკუს-ჯგუფის და ანკეტირების მეთოდის გამოყენებით ჩატარებული კვლევის ანგარიშს, კვლევა განხორციელდა მუნიციაპლიტეტის გენდერული საბჭოს მიერ 2021 წელს. კვლევის კითხვარების შედგენაში საბჭოს დაეხმარა ადგილობრივი ორგანიზაცია ააიპ ,,თანასწორობა ახლა“ და კულტურულ-ჰუმანიტარული ფონდი ,,სოხუმი“ .

საჭიროებათა კვლევის მიზანი და მეთოდოლოგია

ქალთა საჭიროებების კვლევის მიზანს წარმოადგენს იდენტიფიცირებული პრობლემების ასახვა გენდერული საბჭოს სამოქმედო გეგმაში.

სოფლად მცხოვრები ქალების საჭიროებების კვლევა ჩატარდა ფოკუს-ჯგუფის და ანკეტირების მეთოდის გამოყენებით. რაოდენობრივ კვლევის ფარგლებში მოხდება 125 ქალის გამოკითხვა, ანკეტირების გზით 130, თითოეული ადმინისტრაციული ერთულიდან შეირჩევა 10-მდე ქალი. ფოკუს ჯგუფს ესწრებოდნენ მოქალაქეები შემდეგი ადმინისტრაციული ერთეულებიდან: ბაღდათის მუნიციპალიტეტის 14 ადმინისტრაციული ერთეული (სოფელი ვარციხე; სოფელი ფერსათი; ქალაქი ბაღდათი; დიმის თემი;სოფელი საკრაულა;როკითის თემი; სოფელი წითელხევი; ფერსათის თემი; სოფელი ზეგანი; პირველი ობჩა; ნერგეეთის თემი; მეორე ობჩა; ზედა დიმი; ხანის თემი; სოფელი როხი). კვლევის მონაწილეები იყვნენ განსხვავებული საჭიროებების, ასაკის, სოციალური სტატუსის და ა.შ. ქალები.

კვლევის ძირითადი მიგნებები და რეკომანდაციები

- <u>სოფლამდე მისასვლელი გზე და შიდა გზები</u> გამოკითხული ქალების სრულმა უმრავლესობამ აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტის სოფლებში მოწესრიგებულია ცენტრალური გზები, რაც შეეხება შიდა საუბნო გზებს, უმრავლეობისატვის ეს საკითხი ჯერ კიდევ პრობლემად სახელდება. რესპოდენტებმა პრობლემად დაასახელეს ასევე შიდა ტრანსპორტის საკითხი, განსაკუთრებით სოფელ როკითსა და დიდველაში, მათივე თქმით მუნიციპალიტეტის ცენტრს სწორედ ამ პრობლემიოს გამო არიან მოწყვეტილები და სხვადასხვა ყოფითი საკითხების მოსაგვარებლად ურჩევნიათ ქ. ქუთაისში გდაადგილდნენ.

- <u>გარე გაანთება-</u> გამოკითხული ქალების თქმით, ახალი გზის საფარის დაგების პარალელურად ხდება გარე განათების მოწესრიგებაც. თუმცა შიდა საუბნო გზებზე ეს საკითხი მეტ წილად ჯერ კიდევ გადაუწყვეტავია, განსხვავებით ცენტრალური ადგილებისგან, სადაც ეს პრობლემა მოგვარებულია.

- <u>წყლით უზრუნველყოფა და სასმელი წყლის ხარისხი -</u> სასმელ წყლად მოსახლეობის უმრავლესობა იყენებს ჭის წყალს, ზოგ სოფელში წყაროს წყალსაც. ზაფხულის პერიოდში გვალვის გამო წყლის პრობლემა ექმნებათ უმეტეს სოფლებს . რაც შეეხება სასმელი წყლის ხარისხს, ამის შემოწმება მაღალ ფინანსებთანაა დაკავშირებული, შესაბამისად მოსახლეობა საკუთარი ინიციატივით არ აკეთებს, ხოლო სადაც მოხდა სემოწმება, მაგალითად სოფელ ხანში ერთ-ერთი წყაროს შემოწმების შემდეგ, რომლი ს წყალსაც იყენებდა მოსახლეობის ნაწილი, გაიცა რეკომენდაცია, რომ აღნიშნული წყალი არ გამოიყენონ სასმელად.

- <u>ნაგვის ბუნკერებით უზრუნველყოფა-</u> ნაგვის ბუნკერები განთვსებულია სოფლების უმრავლესობაში, გარდა შემდეგი სოფლებისა, ესენია- ხანი, საკრაულა, ზედა და ქვედა ზეგანი, ასევე ზედა დიმში ე.წ. ბრაზილიის დასახელბაში. იმ სოფლებში, სადაც

განთავსებულია ურნები, მოსხელობა კმაყოფილია იმ თვალსაზრისით, რომ ხშირად მოდის ნაგვის მანქანა, თუმცა ცენტრალურ უბნებში, იქ სადაც განთავსებულია ადმინისტრაციული შენობები, მოსახლეობა იტხოვს დამატებით ნაგვის ბუნკერებს.

- <u>გაზიფიციერება -</u> აღნიშნული საკითხი მოგვარებულია მთელი მუნიციპალიტეტის მასშტაბით, გარდა შემდეგი სოფლებისა: <u>ხანი, ზეგანი, საკრაულა და</u> ვარციხე.

- <u>ინტერნეტიზაცია სოფლებში-</u> ინტერნეტიზაციის პრობლემა კიდევ ფიქსირდება მაღალმთიან სოფლებში. მათ შორის:ხანში, ზეგანსა და საკრაულაში. დანარჩვენ სოფლებში შეიძლება ითქვას, რომ ინტერნეტი ხელმისაწვდომია.

- **გამოკითხულ რესპოდენტა უმრავლესობის თქმით სოფელებში ბიბლიოთეკები ან საერთოდ არ არის, ან მწირი რესურსებითაა წარმოდგენილი და განახლებას საჭიროებს, იგივე აზრი მუსირებს სტადიონებზეც. გარდა ორი სოფლისა, სადაც არსებობს ადგილობრივად კულტურის სახლები, სოფლის ბავშვებს სახელოვნებო და სპორტულ სექციებში ჩართვის არანაირი არანარი შესაძლებლობა არა აქვთ, ამ პრობლემას ამზფრებს ის გარემოება, რომ შიდა ტრანსპორტიც არ არის მოწესრიგებული (სოფელი საკრაულა, პირველი ზეგანი, მეორე ზეგანი, როხი, როკითი და დიდველა).**

- <u>სასკოლო ტრანსპორტი-</u> სასკოლო ტრანსპორტი ყველა ადმინისტრაციულ ერთეულში ფუნქციონირებს, თუმცა გამოკითხული რესპოდენტების უმრავლესობა პრობლემად ასახელებს კანონს, რომლის მიხედვითაც თუ კი სკოლასა და დასახლებულ პუნქტს შორის მანძილი მინიმუმ 2.5 კმ მაინც არ არის, ამ ხდება სასკოლო ტრანსპორტის დანიშვნა, მოსახლეობის ნაწილი თვლის, რომ უფრო მოკლე მანძილის შემთხვევაშიც უნდა უზრუნველყონ მოსწავლეთა ტრანსპორტირება.

- <u>მიგრაცია</u> - ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფლებში, რესპოდენტთ თქმით მიგრაციის მაჩვენებელი თანაბრად მაღლია როგორც ქალების ასევე მამაკაცების შემთხვევაში, შრომით მიგრაციაში მიდიან როგორც დიდ ქალაქებში, ასევე საზღვარგარეთაც. რაც შეეხება ახალგაზრდებს, მათივე თქმით ახალგაზრდების უმრავლესობა განათლების მისაღებად გადადის უფრო დიდ ქალაქებში, უფრო ხშირად დედაქალაქში. მიუხედავად იმისა, რომ არ არსებობს ოფიციალური

მონაცემი, მათი რიცხვი ვინც შემდეგ თავიანთ სოფელს უბრუნდება, ბევრად დაბალია.

- <u>იმ პროგრამების არსებობა, რაც დაემხარებოდა ქალებს განვითარებაში</u> ს გამოკითხული რესპოდენტის უმრავლესობა მომხრეა დაინერგოს პროფესისული განათლების პროგრამები, ბევრმა მათგანმა აღნიშნა, რომ სიამოვნებით ჩაერთვებოდნენ გადამზადების ისეთ პროგრამებში, როგორიცაა პოლიმერული თიხის ,ინგლისური ენის, ბუღალტერიის სასწალო კურსები. ქალების ეკონომიკური გძლიერიების და დასაქმებისადმი ხელმისაწვდომობის მიზნით სასურველია დაინერგოს მეწარმეობისა და ბიზნეს პროექტების მართვის უნარ -ჩვევების განმავითარებელი ტრენინგები ს შეთავაზება. ქალები სოფელ დიმიდან, დიდველიდან ამბობენ, რომ საჭიროებენ ისეთ სივრცეებს, სადაც შესაძლებელი მიეცემოდათ ხვადასხვა აქტოვობების განხორიელების და ინფორმაციის გაცვლისა. სოფელ მეორე ობჩაში გამოკითხული ქალების უმრავლესობამ მოითხოვა განახლდეს ტექსტილზე მუშაობა, მათივე თქმით ადგილობრივები ამით სარგებელს ნახულობდნენ და დღევანდელ პირობებში როდესაც სოფელ ობჩაში არის რამოდენიმე ცნობილი მარანი, ტურისტებისთვის აღნიშნული ლოკაცია ამ მხრივაც უფრო საინტერესო იქნებოდა...
- <u>გენდერული ნიშნით ძალადობის საკიტხები ბაღდათის მუნიციპალიტეტში და მხარდამჭერი სერვისები ამ მიმართულებით-</u> გამოკიტხულთა უმრავლესობა გენდერული ძალადობის მთავარ პრობლემად ასახელებს დაბალ ცნობიერებას და თვლის, რომ ყველაზე მეტად ამ მიმართულებით არის საჭირო მუშაობა. ამიტომაც საჭიროა რისკ ჯგუფების ოჯახების გამოვლენა და ცნობიერების ამაღლების კამპანიების დანერგვა ამ მიმართულებით. ასევე პრობლემად სახელდება ინფორმირებულობის დაბალი დონე ოჯახში ქალთა მიმართ ძალადობის სახელმქიფო სერვისებზე.
- **რაც შეეხება მარტოხელა დედდებს, იმის გამო, რომ ისევე, როგორც მთელ საქართველოში, ბაღდათის მუნიციპალიტეტშიც მარტოხელა დედის სტატუსი ენიჭება ქალს, რომელიც არ იმყოფება რეგისტრირებულ ქორწინებაში, ჰყავს შვილი, რომლის დაბადების მოწმობაში მამის გრაფა ცარიელია. სტატისტიკისა და, შესაბამისად, ყველა მატერიალური დახმარებისა და სერვისის მიღმა რჩებიან ქალები, რომელთაც ოფიციალურად, მართალია, არა აქვთ მარტოხელა დედის სტატუსი, მაგრამ რეალურად მამების მხარდაჭერის გარეშე ზრდიან შვილებს, ხოლო ოფიციალურად მარტოხელა მშობლის სტატუსის მატარებელი ბაღდათის მუნიციპალიტეტში არის რამდენიმე ქალი. კვლევამ აჩვენა,რომ როგორც ძალაობის მსხვერპლის რეგისტრაციის, ასევე მარტოხელა დედის სტატუსის მიღებისას უნდა გაუქმეს ბარიერები.**

- <u>დასაქმების და ბავშვთა მოვლის სერვისებზე წვდომა</u> კვლევამ აჩვენა, რომ მცირეწლოვანი შვილების დედებს დასაქმებაში გარდა სამუშაო ადგილების არ ქონისა ხელს უშლის ის გარემოება, რომ არა აქვთ ბავშვების დატოვების შესაძლებლობა, რის გამოც უწევთ უარის თქმა სამსახურზე, პრობლემად სახელება ასევე ბაღებისა და სკოლების მოკლე სამუშაო დრო და ზაფხულის ბაღებისა და სკოლების არარსებობა. კვლევამ გამოკვეთა საზაფხულო ბაღების მომსახურების ხელმისაწვომობის საჭიროება , არა მხოლოდ ქალაქში, არამედ სოფლებშიც. გამოკითხული რსპოდენტები თვლიან, რომ მომსახურება უნდა იყოს უსასყიდლო და გეოგრაფიულად ხლმისაწვომი. ასევე მოწყვლადი ჯუფის ქალებისთვის სასურველია დაინერგოს ვაუჩერული სისტემა, და მოხდეს მათი შვილების სხვადასვა სპორტულ და შემეცნებით წრეებში სწავლების შესაძლებობა.